CultureTalk Georgia Video Transcripts: http://langmedia.fivecolleges.edu

Popular Vacation Spots

Georgian transcript:

ირინკა: თუ შეგიძლია მოგვიყევი საქართველოში ზაფხულის განმავლობაში ახალგაზრდები როგორ ისვენებენ.
მარიამი: სტუდენტები და სკოლის მოსწავლეებს ძირითადად მშობლები გვიშვებენ დასასვენებლად ან ზღვაზე ან მთაში ან ზამთარში გუდაურში და ბაკურიანში. ანუ ბავშვები არ მუშაობენ არდადეგების დროს, ისედაც არ მუშაობენ ძირითადად, მაგრამ ნუ არდადეგების დროს ასე ვთქვათ ბოლომდე ვისვენებთ. და რავიცი ათასი ადგილია მოკლედ წასასვლელი. მაინცდამაინც კეთილმოწყობილი პირობებით შეიძლება ვერ წავიდეთ, მაგრამ ნუ სხვათაშორის ბათუმი გააკეთეს ძალიან მაგრად ამ ბოლო დროს, ძალიან ლამაზი არის; უამრავი გასართობი ადგილია იქ, მაგრამ ნუ გარშემო ტერიტორიაზე მაინცდამაინც დიდი კომფორტი და სასტუმროს საშუალება არ გვაქვს.

ირინკა: ყველაზე პოპულარული დასასვენებელი ადგილები, ნუ გასაგებია ეხლა ზღვაზე რომ ძალიან ბევრი ისვენებს, მაგრამ ნუ ზღვის გარდა კიდე სად ისვენებენ. მაგალითად თბილისელი...
მარიამი: ზამთარში ... ხო ზამთარში მივდივართ ხოლმე გუდაურში ან ბაკურიანში.
ირინკა: და ეს გუდაური და ბაკურიანი რა არის?
მარიამი: ნუ ბაკურიანი არის ძირითადად... კურორტი არის. მოკლედ ერთი კანატკა გააკეთა, ძალიან მაგარი კანატკა გააკეთა ივანიშვილმა, მაგრამ ანუ შედარებით ისეთი დამწყებებისთვის არის ეს ტრასა და ამიტომ იქ ისეთი ხალხი მიდის, რომელმაც მაინცდამაინც სრიალი კარგად არ იცის და იქ სწავლობენ და დანარჩენები პრინციპში მიდიან გუდაურში და გუდაური უფრო სასრიალო კურორტია, ანუ სხვა არაფერი ისეთი გასართობი არ არის, იმიტომ რომ ბაკურიანში ბავშვებისთვისაც არის პარკები და მთელი ამბები, მაგრამ ნუ გუდაურში მარტო რამდენიმე მთა გვაქვს და კანატკა და უნდა ჩახვიდე მარტო სასრიალოდ და კარგად უნდა იცოდე სრიალი.

English translation:

Irinka: Can you tell us how young people in Georgia spend their summer holidays?

Mariam: Parents usually send students to either seaside or mountains or in winter to Gudauri and Bakuriani. The youth does not work during the holidays, we don't work in general either, but during the holidays we rest to the fullest so to speak. And there are a thousand places to go to. The conditions might not be very good, but by the way Batumi was made very well this past time, it's very beautiful.

Irinka: The most popular recreational sites, it is clear now that may people go to the seaside, but except for the seaside, where else do people go for holidays? For example ones from Tbilisi...

Mariam: Winter... So in winter we usually go to Gudauri and Bakuriani.

Irinka: What are Gudauri and Bakuriani?

Mariam: Well Bakuriani is mainly ... it's a resort. In short Ivanishvili[1] made a very good rope-way, but the track is mostly for beginners, so people who are not very good at skiing usually go there and the rest basically go to Gudauri, and Gudauri is more of a ski resort. I mean there is nothing much to do, because in Bakuriani there are parks for children and all that, but in Gudauri we only have several mountains, rope-way and you should go there only for skiing and you should be good at it.

About CultureTalk: CultureTalk is produced by the Five College Center for the Study of World Languages and housed on the LangMedia Website. The project provides students of language and culture with samples of people talking about their lives in the languages they use every day. The participants in CultureTalk interviews and discussions are of many different ages and walks of life. They are free to express themselves as they wish. The ideas and opinions presented here are those of the participants. Inclusion in CultureTalk does not represent endorsement of these ideas or opinions by the Five College Center for the Study of World Languages, Five Colleges, Incorporated, or any of its member institutions: Amherst College, Hampshire College, Mount Holyoke College, Smith College and the University of Massachusetts at Amherst.

© 2013 Five College Center for the Study of World Languages and Five Colleges, Incorporated

[1] Bidzina Ivanishvili is a Georgian businessman and politician. He is currently serving as the Prime Minister of Georgia (since 2012), but not at the time of this interview.